ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31222105**
თარიღი: **29/07/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“

სხდომის ოქმი N 7

ქ. ლანჩხუთი 26.07.2022 წელი

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე: **კახაბერ ასკურავა.**

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიორგი გოგუაძე.**

ფრაქციის მდივანი: **ირმა მგელაძე.**

ფრაქციის წევრი: **გივი ცინცაძე.**

სხდომას ესწრებოდა მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი: **თამარ ფირცხალაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: **გიორგი ხელაძე,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი: **ნატა კობალავა,** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის მთავარი ბუღალტერი: **მარინა ქანთარია.** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი.**

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

3. „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში არსებული მდგომარეობის განხილვა“.

/მომხსენებელი: კახაბერ ასკურავა/

4. სხვადასხვა საკითხები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კახაბერ ასკურავამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა თამარ ფირცხალაიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს, რომელთაც ესაჭიროება ოპერაციული ჩარევა, ასევე ქიმიოთერაპიის კურსის დაფინანსება, სხივური თერაპიის თანადაფინანსება , კორონალური სტენტირება და სხვა, სადაზღვევოს მიერ არ უნაზღაურდება, ან მკურნალობის თანხა უნაზღაურდება ნაწილობრივ, სამედიცინო დაწესებულების ანგარიშზე ჩაერიცხება წარმოდგენილი ღირებულების 50%, მაგრამ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 150 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. მუნიციპალიტეტის მიერ ასევე განხორციელდება კვლევების დაფინანსება მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის თანადაფინანსება- 50%. პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო -გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების ანგიოგრაფიული კვლევის და პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებაში რა სერვისი შედის, რაზეც თამარ

ფირცხალაიშვილმა გააკეთა განმარტება, რომ აღნიშნულ სერვისში არის ქცევითი თერაპიის სპეციალისტთან ვიზიტი და სხვადასხვა პროცედურები, რაც პროგრამაში გაწერილია და უნდა ჩაიტაროს ბავშვმა.

ირმა მგელაძე ასევე დაინტერესდა, თუ როგორ უნდა მოგვარდეს სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ მყოფ იმ ბავშვთა საკითხი, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულები ლანჩხუთის რაიონში 2022 წლის პირველ იანვრამდე, მაგრამ ამჟამად მინდობით აღზრდის პროგრამით ცხოვრობენ ჩვენს რაიონში და ვერ იღებენ აღნიშნულ სერვისს. თამარ ფირცხალაიშვილმა განმარტა, რომ ყველაფერი ფინანსურ რესურსზე აქვთ მიბმული და შევსებულია რაოდენობა, ამიტომ საჭირო იქნება დამატებითი ფინანსების მოძიება. სულ ახლა არის 12 ბენეფიციარი და 14 დღით რეაბილიტაციის კურსის გავლა ჯდება 400 ლარი. პროგრამა გაწერილია 11 თვეზე და წლის განმავლობაში აღნიშნულ სერვისზე ჯამში იხარჯება 4400 ლარი ერთ ბენეფიციარზე.

გიორგი გოგუაძე შემოვიდა ინიციატივით და ირმა მგელაძეს სთხოვა შეისწავლოს აღნიშნული საკითხი, მოიძიოს თუ რამდენი ბავშვი ვერ იღებს აღნიშნულ სერვისს, დააწერინოს ყველას განცხადება მერის სახელზე და ირმა მგელაძე, როგორც ამ საკითხის ინიციატორი, ფრაქციის სახელით შევიდეს მერთან წინადადებით, რათა დროულად მოგვარდეს ეს პრობლემა.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მისი განმარტებით, მიმდინარე წლის 30 ივნისს საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი გოგუაძემ წერილობით მომართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმასთან დაკავშირებით, რომ ტოვებს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, მაგრამ რჩება საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ყოველგვარი პარტიული კუთვნილების გარეშე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც 2014-2017 წლებში, ასევე, ამ მოწვევის საკრებულოშიც გიორგი გოგუაძე საკმაოდ აქტიურადაა ჩართული საკრებულოს კომისიების მუშაობაში. ის წუხს, რომ აღნიშნული კომისია კარგავს ძალიან აქტიურ პიროვნებას.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია იმ პიროვნებასთან მუშაობა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული დაპირისპირებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ არასოდეს არ დაკონტაქტებია კომისიის თავმჯდომარე და არც ერთ შეხვედრაზე, არც ერთი ობიექტის ნახვაზე არ დაუპატიჟებია, რაც მისთვის ძალიან მიუღებელია.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ საკრებულოს წევრებს შორის მომხდარი დაპირისპირების დროს, გოგი მორჩილაძემ ხელი დაარტყა გივი ცინცაძეს, რომელიც

სამართლებრივად აპირებდა პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ფრაქციის თხოვნით, მან თვალი დახუჭა ამ ყველაფერზე. ის რაც იმ დღეს მოხდა, იყო არასწორი ქმედება და რეაგირება აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ყველაფერზე. გიორგი გოგუაძემ ასევე აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები რომ მისულიყვნენ „ქართული ოცნების“ შეხვედრაზე, რომელიც ქალაქ ქობულეთში გაიმართა, ეჩხუბათ, დაერბიათ შეხვედრის ადგილი, მათ ამას არავინ არ აპატიებდათ. გიორგი გოგუაძემ გიორგი ხელაძეს სთხოვა გაიხსენოს, 2012 წელს ერთი შეხვედრა მაინც თუ ჩაუშლია მაშინდელ ხელისუფლებას „ქართული ოცნების“ აქტივისტებისთვის. გიორგი ხელაძემ განაცხადა, რომ ის მთელი ცხოვრება ცდილობს გაუფრთხილდეს ადამიანურ ურთიერთობებს და მისთვის მიუღებელია ნებისმიერი დაპირისპირება.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 4; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში არსებული მდგომარეობის შესახებ“ ისაუბრა ცენტრის დირექტორმა ნატა კობალავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2012 წლიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ მიიღეს კანონი, რომელიც მთლიანად არეგულირებს ამ სისტემაში მიმდინარე პროცესებს. კანონი შედგება ნორმატიული აქტებისგან. ერთ-ერთი ასეთი არის სახელმწიფოს მიერ ვერ მიღებული ნორმატიული აქტი ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელიც გულისხმობს საქართველოში არსებული ბაგა-ბაღების მოწყობას ინფრასტრუქტურის კუთხით. მან აღნიშნა, რომ ეს არის საკმაოდ რთული თემა, კეთდება ბევრი რამ, მაგრამ ამოუწურავია. საქართველო ამ ფორმატისთვის მოუმზადებელი იყო და სწორედ ამიტომ მოხდა ზემო აღნიშნული საკითხის შეჩერება. ახლა ცდილობენ მოარგონ საქართველოს იმიტომ, რომ ვერც ერთი ბაღი ვერ გაივლის ავტორიზაციას, ან ძალიან ცოტა გაივლის და დანარჩენი უნდა დაიხუროს. ნატა კობალავას თქმით, არ არის მიღებული ავტორიზაციის წესი, რაც გულისხმობს იმას, რომ ბაღი უნდა გახდეს დამოუკიდებელი და ჰქონდეს თავისი ბეჭედი, რაც კანონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ავტორიზაციის წესი ვერ მტკიცდება იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურა არ არის შესაბამისობაში მოყვანილი. როდესაც ეს ყველაფერი მოგვარდება, შემდეგ დაიწყება ბაღების ავტორიზაცია. მისი თქმით, წლის ბოლომდე მათ ევალებათ ბაღების დარეგისტრირება ელექტრონულად, რაშიც ბაღებს გაერთიანება დაეხმარება, რომ შემდეგ ცალკე ა(ა)იპ-ებად გავიდნენ. შეიქმნება კომისიები, რომლების შეისწავლიან სიტუაციას ბაღებში და შემდეგ მოხდება მათი ელექტრონული რეგისტრაცია სისტემაში.

ნატა კობალავამ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა საგანმანათლებლო კუთხითაც. საუბარია აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მინიჭებაზე, რაც პედაგოგის სტატუსთან არის გათანაბრებული. მათ ამის შემდეგ შესაბამისად ფინანსური ანაზღაურებაც უნდა გაეზარდოთ, მაგრამ ისინიც თავის მხრივ ვალდებულები არიან გარკვეული კვალიფიკაციის მქონენი იყვნენ, ამიტომ უნდა მოხდეს მათი დატრენინგება. სულ საქართველოს მასშტაბით არის 9 ორგანიზაცია, რომელთაც აქვთ უფლება გადაამზადონ აღმზრდელები. ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, ჩვენთან აგვისტოს ბოლოდან დაიწყება ეს პროცესი. უნდა გამოცხადდეს ტენდერი გადამზადებაზე, რომელსაც დააფინანსებს საგანმანათლებლო ცენტრი. სულ რაიონში არის 41 აღმზრდელი და მათ გადამზადებაში დაიხარჯება 14000 ლარი.

კახაბერ ასკურავამ მადლობა გადაუხადა ცენტრის ხელმძღვანელს და აღნიშნა, რომ

ეს ყველაფერი მისასალმებელია, მაგრამ ვერც ერთი ბაღი ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას განათლების კუთხით და ეს უდიდესი პრობლემაა. ბაღს ვერაფერი ვერ მოაქვს ბავშვისთვის და ქცეულია სოციალურ პროგრამად კვების კუთხით. ასევე მოუწესრიგებელია სიტუაცია ინკლუზიურ ბავშვებთან მიმართებაში, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა, რომ ცალსახად გადასამზადებელია პედაგოგები მაგ კუთხით. მათ ჰყავთ ინკლუზიური ბავშვები, რომელთაც სტატუსი არა აქვთ, რადგან მშობელს მოაქვს ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, სადაც წერია, რომ ბავშვი ჯანმრთელია, მაგრამ ბავშვს აქვს პრობლემა, ზოგი ძალიან აგრესიულია და სხვა ბავშვებისთვის საფრთხის შემცველია. ამჟამად რაიონის მასშტაბით სხვადასხვა ბაღში აუტისტური სპექტრის მქონე 9 ბავშვი ჰყავთ.

კახაბერ ასკურავამ განაცხადა, რომ აუცილებელია ინკლუზიური სწავლება და უნდა მოხდეს პედაგოგების გადამზადება ამ მიმართულებით და მიზნობრივად მიევლინოს პედაგოგი იქ, სადაც საჭიროა.

ნატა კობალავამ ასევე ისაუბრა იმის შესახებ, რომ თუ ადრე აუცილებელი იყო ბავშვს ესწავლა ლექსი და შეკრება-გამოკლება ბაღში, ახლა ეს მიდგომა შეიცვალა და ახალი სტანდარტის მიხედვით ბავშვს შემეცნებით და ლოგიკურ აზროვნებას აჩვევენ. მან აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ ლოგოპედი და ფსიქოლოგები, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, რამ გამოიწვია შტატების ასე ზრდა 2012 წლის შემდეგ და მოითხოვა თანამშრომელთა ჩამონათვალი, თუ რა პოზიციაზე რამდენი ადამიანია სულ ცენტრში დასაქმებული. კობალავამ გააკეთა ჩამონათვალი და თქვა, რომ ცენტრს ჰყავს ხელმძღვანელი, 2 მოადგილე, 2 ზონის კოორდინატორი, იურისტი, საქმის მწარმოებელი, 2 სპეციალისტი ინფრასტრუქტურის დარგში, 5 ბუღალტერი, შესყიდვების სპეციალისტი, 4 მეთოდისტი და სპეციალისტები. კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ შტატები ძალიან გაზრდილია და კარგია ის მენეჯერი, რომელიც უფრო ცოტა თანამშრომლით აკეთებს მეტ საქმეს.

გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, ფსიქოლოგებს, რომლებიც ინიშნებიან აღნიშნულ პოზიციაზე უკვე აქვთ შესაბამისი განათლება თუ შემდეგ გადიან გადამზადების კურსებს, რაზეც კობალავამ უპასუხა, რომ ზოგი მათგანი უკვე სერტიფიცირებულია, ზოგი კი შემდეგ გადის შესაბამის კურსებს.

ირმა მგელაძემ აღნიშნა, რომ მას ააქვს პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კურსი დამთავრებული ფსიქოლოგის კვალიფიკაციით. თუ დასჭირდებათ ფსიქოლოგი, ის მზად არის სათანამშრომლოდ.

გიორგი გოგუაძე ასევე დაინტერესდა, შენდება თუ არა ბაღები თანამედროვე სტანდარტებით, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა, რომ აცანის ბაღი ააშენა რეგიონული განვითარების სამინისტრომ და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტებს. მან ასევე აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურის რეკომენდაციით ცდილობენ გაარემონტონ ბაღები და გურიის რეგიონში ერთ-ერთი მოწესრიგებულია ლანჩხუთის რაიონი, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ მათ არ მიუღიათ ჯარიმები. ისინი ასევე გააქტიურდნენ სახანძრო უსაფრთხოების კუთხითაც და ყველგან გააკეთეს ევაკუაციის გეგმა.

ირმა მგელაძე დაინტერესდა, რეორგანიზაცია, რომელიც დაიწყო წინა წლის დეკემბერში და დღემდე არ დასრულებულა, როდის დასრულდება. მისი აზრით, ფსიქოლოგიური ტერორია ადამიანებისთვის ამდენი ხნით მოლოდინის რეჟიმში ცხოვრება, გააგრძელებს თუ არა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობას, რეორგანიზაციის დასრულების შემდეგ, რაზეც ნატა კობალავამ გააკეთა განმარტება

და თქვა, რომ რეორგანიზაცია აგვისტოს ბოლომდე უნდა დასრულდეს. მისი მიზანია ოპტიმიზაცია და ის შეეცდება წარადგინოს საუკეთესო ვარიანტი როგორც ბაღებში, ასევე სააღმზრდელო ცენტრშიც. კახაბერ ასკურავამ ცენტრის ხელმძღვანელს ფრაქციის სახელით მისცა პირობა, რომ თუ ის წარადგენს ისეთ სამართლიან წინადადებას, რომელიც იქნება მენეჯერულად სწორად ჩამოყალიბებული, ისინი დასხდებიან, მოუსმენენ და ხმასაც მისცემენ მის წინადადებას.

ირმა მგელაძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი ერთადერთი აწყობილი სისტემაა რაიონში და სირცხვილია ასეთი დაბალი ანაზღაურება ჰქონდეთ თანამშრომლებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციაში 10%-თაც კი არ მოხდა მათი ხელფასების ზრდა.

გიორგი გოგუაძემ განაცხადა, რომ ამ სამსახურს გაცილებით მეტი დაფასება უნდა ჰქონდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ რაიონში არ არის სწორი მენეჯმენტი და მაგალითად მოიყვანა შესყიდვების სამსახური, რომელიც 25000000 ლარის შესყიდვას ახორციელებს და არის განყოფილება, ხოლო აუდიტი და ზედამხედველობა არის ცალ-ცალკე სამსახურები, რომლებსაც არაფერი არ შემოაქვთ ბიუჯეტში, იქეთ მიაქვთ თანხა და მათ შენახვაზე მეტი იხარჯება.

ფრაქციის თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა დაინტერესდა არის თუ არა საუბარი იმის შესახებ, რომ ქალაქში გაიხსნას მეორე ბაღი, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა, რომ მისგან არ წამოსულა ასეთი წინადადება. კახაბერ ასკურავამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა იყოს 2 ბაღი, რადგანაც ერთი ვერ აკმაყოფილებს ქალაქის კონტინენტს.

ფრაქციის მდივანი ირმა მგელაძე დაინტერესდა, სულ რამდენი აღსაზრდელია ამჟამად რაიონში. ნატა კობალავამ განმარტა, რომ ამჟამად არის 1035 ბავშვი. ირმა მგელაძის თქმით, 2012 წელს იყო 1100 აღსაზრდელი, მოიკლო ბავშვთა რაოდენობამ და რატომ გახდა საჭირო ამდენი პერსონალის დამატება, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა, რომ შეიძლება მთლიანობაში მოიკლო ბავშვთა რაოდენობამ, მაგრამ იქ სადაც მოხდა კადრების დამატება, ეს იყო აუცილებელი.

გივი ცინცაძემ დასვა შეკითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ სამარშრუტო ტაქსი, რომელსაც გადაჰყავს აღსაზრდელები ლაშისღელიდან შუხუთამდე, არის მოუწესრიგებელი და აქვს თუ არა ამის შესახებ ხელმძღვანელს ინფორმაცია, რაზეც კობალავამ განმარტა, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს და ყოველდღე ექთანი ამოწმებს აღნიშნულ ტრანსპორტს.

გივი ცინცაძემ ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად მოსაგვარებელია ბავშვთა ტრანსპორტირება შემდეგ სოფლებში: აკეთში, სუფსასა და ჩოჩხათში. მან განაცხადა, რომ ის გვერდში დაუდგება ცენტრის ხელმძღვანელს ყველანაირად, რათა დროულად მოგვარდეს ეს საკითხი. კობალავამ აღნიშნა, რომ ის ეცდება მოიძიოს ფინანსები და რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას პრობლემა.

კახაბერ ასკურავა დაინტერესდა, არის თუ არა გვანცა ჩხარტიშვილი გათავისუფლებული პოლიტიკური ნიშნით დაკავებული თანამდებობიდან, რაზეც მიიღო პასუხი, რომ გვანცა ჩხარტიშვილი არ არის პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული.

სხვადასხვა საკითხები.

კახაბერ ასკურავამ მიმართა გიორგი ხელაძეს, რომ რამდენიმე წერილზე, რომლებიც ფრაქციამ გააგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში, არ მიუღიათ პასუხი და წერილები უკვე ვადაგადაცილებულია. გიორგი ხელაძემ სთხოვა ფრაქციას, კომისიას

მიწერონ ოფიციალური წერილი და იურიდიულ საკითხთა კომისია აუცილებლად განიხილავს აღნიშნულ საკითხს.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ 2017-2018 წლის აუდიტის დასკვნა არ განხილულა საკრებულოს სხდომაზე და დარღვეულია განხილვის ვადებიც. მხოლოდ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ააქვს განხილული და მან სთხოვა იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს, აუცილებლად მოიძიოს აღნიშნული დასკვნა და გაეცნოს.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

კახაბერ ასკურავა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-
საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.07.2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახაბერ ასკურავა	13:50	
2	გიორგი გოგუაძე	13:45	
3	ირმა მგელაძე	13:51	
4	გივი ცინცაძე	13:54	